დადგენილება:**დ-06. 38242762**

თარიღი:**02/10/2024**

შპს ,,კრიპტომატი''-ს დაჯარიმების და უნებართვო

მშენებლობის დემონტაჟის თაობაზე

მუნიციპალური ინსპექციის სამსახურის ხელმძღვანელმა ევტიხ ხაჩიძემ, განვიხილე 2024 წლის 22 აგვისტოს N40 მითითება და 2024 წლის 13.09.2024 წლის N03/80 შემოწმების აქტი შედგენილი, **შპს ,,კრიპტომატი''-ს** (431178209; თბილისი, საბურთალოს რაიონი, სულხან ცინცაძის ქუჩა N12, არასაცხოვრებელი ფართი N3-9ა) მიმართ, საქართველოს კანონის `საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 130-ე მუხლის პირველი ნაწილის `ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევისათვის და **გამოვარკვიე:**

ქ. რუსთავში, კოსტავას გამზირი N17 მიმდებარე ტერიტორიაზე უნებართვო სამშენებლო სამუშაოების განხორციელება, კერძოდ: ჩასარიცხი აპარატის (კრიპტომატი) განთავსება შესაბამისი ნებართვის გარეშე.

მუნიციპალური ინსპექციის სპეციალისტის მიერ, საქართველოს კანონის `საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 123-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევის მიმართ, 2024 წლის 22 აგვისტოს შედგენილ იქნა #40 მითითება, რომლითაც მხარეს განესაზღვრა 03 (სამი) დღის ვადა შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის წარმოსადგენად ან დარღვევის გამოსასწორებლად, უსაფრთხოების წესების დაცვით.

22.08.2024 წლის მითითება N40 მხარეს გაეგზავნა ოფიციალურ იურიდიულ მისამართზე- თბილისი, საბურთალოს რაიონი, სულხან ცინცაძის ქუჩა N12, არასაცხოვრებელი ფართი N3-9ა. მითითებული დოკუმენტი მხარეს არ ჩაბარდა. საქართველოს ფოსტის ჩაბარების დასტურით დგინდება, რომ კომპანია გადასულია სხვა მისამართზე.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინპსექციის 06-382424325 წერილით, აღნიშნული მითითება N40 მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გამოქვეყნდა საჯარო გამოქვეყნების გზით 02.09.2024 წელს. (დოკუმენტაცია ერთვის საქმეს).

მითითებით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ, 2024 წლის 13 სექტემბერს, საქართველოს კანონის `საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 124-ე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალური ინსპექციის სპეციალისტის მიერ გადამოწმდა მითითებული ფაქტი და შედგა N03/80 შემოწმების აქტი, რომლითაც დაფიქსირდა მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა.

მხარეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ეცნობა განხილვის თარიღის და დროის შესახებ (უწყება).

უწყება N06-382426238 (18.09.2024წ) გაეგზავნა მხარეს იურიდიულ მისამართზე. თუმცა უწყება არ ჩაბარდა მხარეს და დაბრუნდა უკან, საქართველოს ფოსტის დასტურით დგინდება შემდეგი: კურიერის განმარტებით შენობა არის მრავალ სადარბაზოიანი ბინის და სადარბაზოს ნომრები არის დაუნომრავი გადანომრილი არეული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უწყება N06-382426238 (18.09.2024წ) გამოქვეყნება განხორციელდა საჯარო გამოქვეყნების გზით. 24.09.2024 წელს (დოკუმენტები ერთვის საქმეს).

2024 წლის 02 ოქტომბერს 11:00 საათზე გამართულ საქმის განხილვაზე არ გამოცხადდა მხარე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან **შპს ,,კრიპტომატი''-ს** მიერ, ჩადენილია საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 130-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა კერძო: რუსთავი, კოსტავას გამზირი N17 მიმდებარე ტერიტორიაზე ჩასარიცხი აპარატის (კრიპტომატი) განთავსება შესაბამისი ნებართვის გარეშე.

საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 123-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 124-ე მუხლის მესამე ნაწილით, 125-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 127-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 127-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით, 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 130-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა" ქვეპუნქტით,

დავადგინე:

1. შპს ,,კრიპტომატი'' 431178209 დაჯარიმდეს 6000 (ექვსი ათასი) ლარით, ქ. რუსთავში, კოსტავას გამზირი N17 მიმდებარე ტერიტორიაზე უნებართვო სამშენებლო სამუშაოების-ჩასარიცხი აპარატის (კრიპტომატი) განთავსებისათვის შესაბამისი ნებართის გარეშე.

2. შპს ,,კრიპტომატი''-ს 431178209 დაევალოს ქ. რუსთავში, კოსტავას გამზირი N17 მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელებული უნებართვო სამშენებლო სამუშაოების ჩასარიცხი აპარატის (კრიპტომატი) დემონტაჟის განხორციელება, შესაბამისი უსაფრთხოების ნორმების დაცვით.

3. შპს ,,კრიპტომატი''-ს 431178209 დაევალოს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში;

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს - რუსთავის ადგილობრივი ბიუჯეტის სასარგებლოდ შემდეგ ანგარიშზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში - **200122900,** სახელმწიფო ხაზინა-**220101222,** სახაზინო კოდი - **300063263 გადახდის დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე;

4. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, **შპს ,,კრიპტომატი''-ს 431178209** დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა;

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, სამშენებლო სამართალდამრღვევს დაერიცხება საურავი სამშენებლო სამართალდარღვევის დაჯარიმების შესახებ დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით;

6. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, მისი დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, სამშენებლო სამართალდამრღვევი ჯარიმდება თავდაპირველად დაკისრებული ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც მას შეიძლება დაეკისროს არაუმეტეს სამჯერ;

7. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან 15 კალენდარული დღის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. რუსთავი, მეგობრობის გამზირი N20ბ).

ევტიხ ხაჩიძე

მუნიციპალური ინსპექცია-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი